ISSN 0132-6015

ნიანგი

12
ივნისი
1989

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცივი იარაღის ისტორიის მუზეუმი

პლაკატი საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის დიმიტრი ერისთავისა

გიგზავნით წერილს, მინდა გითხრათ ჩემი სათქმელი,
რამეთუ აღარც ბელადი ხართ, არც ხალხთა მამა!..
თქვენ ახლა მხოლოდ ტირანი ხართ, მხოლოდ
ქართველი,
და დაბადება თქვენი ლამის შეგვარგონ შხამად!
ეჰ, ქართველობა რა სასტიკად გადაგვიხადეთ!..
ბრიყვებს კი სჯერათ და ლაყბობენ ბრიყვის
უფლებით,
თითქოს ქართველი სხვა ერებზე მეტად გიყვარდათ,
თითქოს წყალობდით საქართველოს განსაკუთრებით!!.
იმასაც წერენ, რომ ჰიტლერთან ცუდად ომობდით,
სხვებს არ უსმენდით, ხოლო თავად ხშირად
ცდებოდით
და სახელმწიფოს სათავეში რომ არ გვყოლოდით,
წარმოიდგინეთ, თურმე ომსაც გადავრჩებოდით!...
იანიჩრობას რომ შესწირეთ სიცოცხლის დღენი,
თქვენი სიმართლის გარდა რომ არ გწამდათ
სიმართლე, —
იმიტომ იყო ტრაგედია ცხოვრება თქვენი
და სიკვდილშიაც ტრაგიკულად დაიბინადრეთ!..
თქვენ არ იფიქროთ, რომ თქვენს მერე ჩვენს ქვეყანაში
ვართ სუყველანი ბედნიერი და კმაყოფილი!..
თქვენს მერეც ბევრი, ბევრზე ბევრი გადაამლაშეს,
ამდენი ერის ერთად მართვა ძნელი ყოფილა!
ეს — თქვენ შექმენით დაძალებით და დამუქრებით
შენობა, რასაც მუდამ ახლავს ზიზღი ფარული!..
არ შეიძლება, რომ თვინიერ თავისუფლების
ქვეყნად სუფევდეს ნაღდი ძმობა და სიყვარული!
იმ ძალადობის, სისხლით თრობის, სისხლით ღრეობის
ხმა ჩახლეჩილი დღესაც გვზარავს და დღესაც ისმის!..
თქვენი ბრალია, ანუ თქვენი მემკვიდრეობის,
ცხრა მარტს, ცხრა აპრილს ასე უღვთოდ დაღვრილი
სისხლიც!..
უმწეო ხალხი რუსთაველზე შვლებივით დაკლეს,
— სტალინისთვის! — გაჰკიოდნენ
ლანძღვა-გინებით!..
იმ ჯალათების სისხლი უდუღთ ჯალათებს ახლებს,
კიდევ არიან ქვეყნად თქვენი გამოზრდილები!
მიწას აპრილის წვიმის ნაცვლად ცრემლები აწვიმს!..
კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება, რამდენი წელი
ეს სპექტაკლები, სიმართლეს რომ გვიკლავენ
თვალწინ,
თავისუფლებას რომ გვართმევენ სისხლიან ხელით?!
ვამთავრებ უკვე!.. მეტის წერას აღარ ვაპირებ!..
ვერც წარსულს შევცვლი და ვერც აწმყოს
შევაფერადებ!..
საიქიოში... ვიცი, მაინც დამაპატიმრებთ
და დაკითხვაზე დაწვრილებით გეტყვით ყველაფერს!

ელდარ კერძევაძე

ნახ. 3. ლუგოვკინისა

ჟურნალი „კროკოდილი", № 12, 1989 წ.

გემსახურებათ კოოპერატივი „გასწი, მერანო!.."

იუმორესკა

შეიქმნა და ამ დღეებში მწყობრში ჩადგა თანამედროვე ტიპის, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ჯორ-ვირ-ცხენმომსახურების კოოპერატივი „გასწი, მერანო!..". იგი მოემსახურება ინდივიდუალურ საკუთრებაში მყოფ საჭაპანო ტრანსპორტს.

კოოპერატივთან ფუნქციონირებს უნაგირების, ლაგმებისა და უზანგების შემკეთებელი საამქროები. აქვეა ნალების გამპრიალებელი კაბინეტი. მუშაობს აგრეთვე ჯორ-ვირ-ცხენების დასაბანი ავტომატური ხაზი. გახსნილია საპარიკმახერო, სადაც შეგიძლიათ გემოვნების მიხედვით აღნიშნულ ცხოველებს გაუკეთოთ მოდური ვარცხნილობა, კერძოდ, ჯორ-ვირ-ცხენს დაუხუჭუჭოთ, დაუკულულოთ ან აუქოჩროთ ფაფარი!..

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური მეჯინიბეები, მჭედლები, პარიკმახერები და ელექტროშემდუღებლები!..

კოოპერატივი მდებარეობს ჭიხვინ-ხვიხვინის ქუჩაზე და შექმნილია გაერთიანება „ყროყინის" ბაზაზე.

ძვირფასო მეგობრებო! მობრძანდით, ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით! გვჯერა, რომ კმაყოფილი დარჩებით!

რომან ხვადაგიანი
(ქ. ტყიბული)

ელგუჯა მერაბიშვილი



ჰამფლეტი

აპრილი ოცნებებისა და სიხარულის კვირტის გაშლის დროა, მაგრამ წელს მზისკენ ტოტებგაწვდილ ჩვენს ეროვნულ ხეს საგაზაფხულო აყვავება არ ეწერა!..

ვერა, ვერ გაიპენტა სანაყოფედ სიხარულის კვირტი!.. არც რამე სენმა, არც ავმა ტაროსმა, არამედ შინაურმა მტერმა თუ მტერ-მოყვარემ მოიღო მასზე მსახვრელი ხელი!..

რომ არავინ ელოდა, მოდგა თბილის ქალაქს ორსახოვანი იანუსი!..

ცხრა აპრილის ნამიანი დილის გათენებას მან დაასწრო!..

შესანიღბავი ხალათი ეცვა იანუსს და თავისი შავბნელი ზრახვების შესანიღბავადაც სასანგრე ბარი ეჭირა ხელში, ხოლო ჯიბეში ედო რაღაცა ამპულა მცირე, პირადი ჯალათური კოსმეტიკისათვის!..

წესრიგის მოყვარული მებაღის პრეტენზიით, ზემოდან ბოძებული ნაკრძალში ნადირობის ლიცენზიით მოდგა წალკოტ ქალაქს ორსახოვანი იანუსი, კარგად შეფუთული ჟილეტ-ხალათში, რათა უკეთ დაემალა შუბი ხალთაში!..

მოდიოდა ორივე სახეზე აფარებული გაღიმებული ნიღბით, მსხვილ თავზე ზუჩით, ჩიტაძის ქუჩით ჩამორბოდა კაცი-ჩაქუჩი!..

მერე მარცხნივ მოუხვია, მოდგა იანუსი, გამოიარა მთავრობის სასახლის წინა კიბის ქვედა იარუსი!..

იქნებ გაზონების გაფხვიერებას აპირებდა ორმხრივ ალესილ საველე ბარით, დამნახავებმა არ დაუჯერეს, მაგრამ ცრუ მებაღემ არ გაიტეხა იხტიბარი!..

დემონსტრანტებს შეხედა, ვითა ექიდნემ, ნახა, რომ მოშიმშილენი იდგნენ და ვერც იდგნენ!..

მძინარე ხალხს სულაც არ შეხედა მუქარით, მხოლოდ სულ ბოლოს დაატრიალა სასანგრე ბარი. ოღონდ არა იმიტომ, რომ ძალა აჩვენა! — როგორ გეკადრებათ!.. მხოლოდ საკუთარი თავის გადასარჩენად!..

და ჰქონდა იანუსს საქმის დაწყებისა და დასრულების ღვთაების პრეტენზია, დემონსტრანტებისაკენ მიქცეული სახე დაწყებას გამოხატავდა, ხოლო მეორე, დასასრულად გამოსაჩინებელი, ჯერ მზად არ ჰქონდა!.. ჰოდა, მიესია დემონსტრანტებს და შეუღრინა, როგორც ანტებს, თქვენ აქ გაზონებს რად ქელავთო, ან მოსულხართ ნეტავ რის სათქმელადო?!.

და მოსდგა ჩვენს ეროვნულ ხეს მოუპატიჟებელი გულქვა სტუმარი, მისი რტოების ასასხეპად დაატრიალა ალესილი ბარი...

არა, სრულებითაც არ მოსვლია მეტისმეტი — განა რა მოხდა. თუ ნახევრადმძინარე გოგონებსა და ქალებს დაერია ბარით, რეზინის ხელკეტით?!.

რასაც გასამრჯელოდ აძლევდნენ, ამ ფულად კი უნდა დაემტვრია თავზე მათთვის მახრჩობელა აირის ამპულა!..

მერე მოაბრუნა თავის ნარბევისაკენ საქმის დასრულების მაუწყებელი სახე და, გვამები აკრიფეთო, ეძახდა თავისნაირ მაიმახებს!..

და ეცვა იანუსს ტყვიაგაუმტარი ჟილეტი, ვითომ დაცვას იქით საჭიროებდა სხვათა გამჟღეტი!..

დააბოტებდა ქვის კიბეების სისხლიანი იარუსით გალეშილი ორპირი იანუსი, ან სულ სხვა სტატუსით!..

დადიოდა ქუჩებში, დაუძღვოდა ტანკებს, დინჯად აკეთებდა თავის ბინძურ საქმეს!..

მერე გაიხადა იანუსმა შესანიღბავი ხალათი, ვითა ჯალათის სისხლიანი კვართი, და გაქრა ისე, ვეღარავინ გაიგო მისი მისამართი!..

ხოლო ეკრანზე ვიხილეთ შინაგანი სამსახურის ერთი მაღალი სამხედრო ჩინი უტიფარი აზრებით გატენილი ტვინით. და ბრძანა ჩინმა: „Демонстрация в Грузии отнюдь не была мирной“ და იქვე იგულისხმა: „Свободно можно было орудовать и лопатой и дубинкой“.

და მას შემდეგ, რაც მოირეცხა და ვერც მოირეცხა სისხლით მოსვრილი ქუჩა-კიბის ყველა იარუსი, შორით ნუგეშსა და სამძიმარს გვითვლის იანუსი, თან გვითვლის, ფიქრადაც ნუ გაივლებთ, თითქოს ჩემს სიტყვებში ერიოს ციონიზმიო, ეს გახლავთ, არც მეტი და არც ნაკლები წმინდა წყლის ინტერნაციონალიზმიო!

კიდევ იმას ამბობს იანუსი და არც აწუხებს ნამუსი, მე კეთილი მქონდა მისიაო, მაგრამ მის აღსრულებაში ხელს მიშლიდა ქართველთა მილიციაო! გარდა ამისა, თავს მესხმოდნენ ქალები და ბავშვებიო, ვაი, რომ მეტი ვერ შევძელი, თორემ ჩემგნით ცოცხალი არცერთი იყო გასაშვებიო! თუ არ გჯერათ, ნახეთ ჩემი „კასკაო“, ერთ-ორ ადგილას თუ არა აქვს აცვენილი „კრასკაო“, ნახეთ ჩემი დამცავი ჟილეტი, ხულიგნებმა როგორ მომისვარეს თავიანთი სისხლითო, კიდევ კარგი, იოლად მოვიგერიე ქიმიური ნისლითო!

P. S.

ეგ არი და — დაგიჯერეთ!

დამპალი ძაფით ასე როდემდის უნდა გვკერო, იანუსო?!

ყოველთვისო, გვიპასუხებ, რადგან იცი, დროც შენია და ამინდიც, ცილისწამება, სიცრუე ბაჯაღლო სიმართლედ გაგიდის.

ჩვენ კი ამას გეტყვით:

ადრე ვაზს გვიჩეხდნენ მამულში შემოჭრილი ურჯულოები, რათა რწმენა წაერთმიათ, ახლა ქართული ჯიშის სადედეებს გვიჩეხენ შინაური გარეწრები(რათა ფიზიკურად მოგვსპონ!..

ადრე ერთი სახე ჰქონდა მტერს, ახლა ორსახოვანი გამხდარა, პირში გვიცინის, უკან სამარეს გვითხრის!..

პირველი მტერია, მეორე — მტერ-მოყვარე!

პირველს ამოცნობა არც უნდა, მეორის ამოცნობაა საქმე!

და სადღეისოდ სწორედ ეს უნდა გახდეს ჩვენთვის საქმე უპირველესი!

თითზე კბილის დაჭერით ამ გაუსაძლის ტკივილს როგორმე უნდა გავუძლოთ და ვიფიქროთ!

ვიფიქროთ იმაზე, თუ რატომ ხდება ის, რაც ჩვენს გარშემო, ჩვენში ხდება, და გონივრული მოქმედების გეგმა დავსახოთ!

ალექსანდრე დიდებაშვილი

მანქურთების შემოსევა

9 აპრილით მტრებმა ბედუკუღმართობის ისტორია „გაგვიმდიდრეს“.

განთიადის მოლოდინში
ილეოდა ღამე,
ბედისწერა შავი ისრით
მიითვლიდა წამებს,
კრწანისიდან ჩუმი
კვნესა
შემოჰქონდა ნიავს,
მკრთალი შუქი
ზურგს უპობდა
გულჩათხრობილ
წყვდიადს!..

დედაქუჩას შემოაწვა
გამეტების სევდა,
მუხლუხოთა
ავი ღრჭენით
დაუარა ელდამ!..
მანქურთების
მოდგა რემა
ალესილი შხამით,
ივერთ მოდგმას
დაუყენეს
სისხლის თხევის ჟამი!..

ქალიშვილებს,
მზეჭაბუკებს, —
ნაშიმშილარ შვილებს
ბარ-ნიჩაბი უნდო კვეთით
თავზე გადუშხივლეს!..
რისთვის?
რატომ?
ძმობის ლვედი
რად გვიქციეს ყულფად?
სისხლი,
სისხლი უცოდველთა,
შესჩუხჩუხებს უფალს!..

... სისხლის რუზე
ქუსლით ასხლტა
გაცრეცილი ღამე,
შეტორტმანდა,
შორს ჩააკვდა
პირდაბჩენილ ხრამებს!..
ერთხელ კიდევ
ნათლის სვეტი,
ლელთ ლუნიას სვეტი,
ერთხელ კიდევ
გაიბზარა
მანქურთების კეტით!..

მერე და...
რად ვზღოთ?!

9 აპრილის ღამეს, ორლესული სასანგრე ბარებითა და შხამებით ხალხის ხოცვა-ჟლეტისას, გაისმოდა შეძახილი: „ესეც შენ სტალინისთვისო!“

„ს ტ ა ლ ი ნ ი ს თ ვ ი ს ო?!“
ჰაი, დედასა!
ქალიშვილსა ჩეხს
მანქურთი ხელი!..
სად წვრთნიან ასეთ
უბირ მხედარსა,
უმწეო ბავშვს რომ
გამოჭრას ყელი!..

„ს ტ ა ლ ი ნ ი ს თ ვ ი ს ო!“
უმადურებო,
ჭირისგან გიხსნათ
მისმა გენიამ,
კავიდან კოსმოსს
გწიათ, „დურებო“,
მსოფლიოს ესმის,
რად არ გრცხვენიათ?

„ს ტ ა ლ ი ნ ი ს თ ვ ი ს ო!“
ამ შეძახილით
სიცოცხლეს თმობდნენ
ომში პაპანი!..
მათ სულს აწვალებს
ალბათ სახმილი,
მათს ხსოვნას ბილწავს
მოდგმა მზაკვარი!..

განა ოდესმე
მოღალატესთან,
გავაიგივეთ
ვლასოვთან ერი?
იმ უშრეტ ძალას
ძმობა გვმატებდა,
ჩვენი საერთო
გვახსოვდა მტერი!

... და რომ თქვენ არა...
და იმპერია...
ვერა მპოვნელი
სივრცის და ტახტის,
არ გასცდებოდა
ორბი დარიალს,
გვეყოლებოდა
„სოსელო“ ნაღდი!

„ს ტ ა ლ ი ნ ი ს თ ვ ი ს ო!..“
იქნება მართლაც
უმძიმესია
ცოდვა იმ კაცის,
მერე და...
რად ზღოს
ქართველმა ქალმა
ასე ულვთოდ და
ასე სიმკაცრით?!

მანქურთობას გადარჩენილი

საქართველოს ტელევიზიის შენობის წინ, ახალგაზრდობის რბევისას, ერთმა ჯარისკაცმა დაყარა ფარი და ხელკეტი, მიირბინა ორ ჩაკეცილ გოგონასთან, წამოაყენა და სამშვიდობოს გაიყვანა. დაბრუნებულს — „ძაღლის შვილოო“ — უყვირეს და ხელკეტები დაუშინეს „თანამებრძოლებმა“.

დიდხანს უხვიეს
მგლის ტყავში გული,
დიდხანს უბერეს
მაცილის სული!..
გადაავიწყეს
ღიმილი დედის,
გამოუტენეს
ყინულით მკერდი!..

დამდგარა წამი,
ცოდვით შეძრული,
ათრთოლებულა
ხალასი გული!..
გადაჰფარვია
სიცოცხლეს ფრთებით,
ურჩხულისაგან
უხსნია დები!..

კვლავ გათენების
იმედად ღვივის,
როცა გაკრთება
წყვდიადში სხივი!

გლოვის ზარი

შეიშრე სისხლი
უცოდველთა,
წმინდა მიწაო!..
ყაყაჩოს ფერით
ბინდის ძლევა
უნდა ვიწამოთ!

შეიშრე ცრემლი,
ცხარე ცრემლი,
თვალო მკვესავო!..
უფალი გყავდეს
მბრძანებელი,
გულო მკვნესარო!..
გონების ლონე
შვილთა შენთა
მიეც, მამულო,
იქ მიაბარე
სული ზენას,
შვილო დაკლულო!..

რკინის ტაბიკებს
რკინისავე
აქვს აპეური!..
შიშველი ხელით...
სისხლის თხევით...
დაუმსხვრეველი!

მოყვასით ობლებს
ბეწვის ხიდზე
ჭკუალა დაგვრჩა, —
განთიადამდე
სხვა გზა,
სხვა ხსნა
არადა არ ჩანს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალალ იყოს!..

9 აპრილის ღამეს ჩვენმა მილიციამ ბევრის სიცოცხლე იხსნა.

მილიციავ,
ჩვენო ძმებო,
ბანდას ბევრჯერ
შებმიხართ,
სიკეთე და სამართალი
დაგიცვიათ მკერდითა!..

მაგრამ იმა ველურობის,
იმა სისხლისმსმელობის
ელდამ შეგძრათ...
განწირულებს
რაინდულად შველოდით!

მოყვასისთვის
თავს წირავდით,
ვერაგობის მგმობელნი.
დაგელოცოთ საქართველო,
მიწა, თქვენი მშობელი!

მოწიწება აჩნდეს სულსა
ცხრა აპრილის თალხისა!..
ალალ იყოს,
ალალ იყოს
სიყვარული ხალხისა!

ნახ. ზ. ზუგაშვილისა

ნახ. ბ. ლომაძისა

— რა ვქნა, რა გიყოთ?! წელს კოოპერატივის ფასებში უნდა მოგაქირაოთ!..

ყველაფერი კეთდება!

იუმორესკა

ერთი კვირის წინ ზოგიერთებისთვის თავს დამტყდარმა გარდაქმნის უბედურებამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა სოფელ კაჟონის მოსახლეობას. გარდაქმნამ გაანადგურა სოფლის სავარგულები, სამეურნეო თუ ინდივიდუალური დანიშნულების ნაგებობანი!.. დაზარალდა დიდი რაოდენობით მსხვილფეხა პირუტყვი, არის ადამიანთა მსხვერპლი!.

გარდაქმნის უბედურება დაიწყო ხელფასით ცხოვრებაზე უეცარი გადასვლით, რამაც საშინელება დაატეხა თავს პატიოსან მშრომელ ხალხს — ხელფასი ორი-სამი დღე თუ ეყო მათ!..

გარდაქმნით გამოწვეული უბედურების დღესვე დაზარალებულთა დასახმარებლად ადგილზე მოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. ისინი გაეცნენ შექმნილ ვითარებას და დასახეს სასწრაფო ღონისძიებანი.

მეორე დღიდანვე დაიძრა სოფელ კაჟონისაკენ მეზობელი სოფლებიდან სამედიცინო მედიკამენტებით, სურსათით, თბილი ტანსაცმლით დატვირთული მანქანები. მთელი ხალხი ფეხზე დადგა უბედურებაში ჩავარდნილთა დასახმარებლად. ყოველდღიურად რედაქციაში მრავალი ბარათი მოდის, რომელთა ავტორები გამოხატავენ თანაგრძნობას და სთავაზობენ დაზარალებულთ სამსახურს.

„თავზარი დამცა ცნობამ სოფელ კაჟონაში მომხდარი გარდაქმნით გამოწვეული უბედურების შესახებ. განსაკუთრებით მციერენლოვანთა ბედი მაღელვებს, ხელფასზე დარჩენილმა კაცმა როგორ უნდა არჩინოს ოჯახი, ბავშვები?!. მზად ვარ დაზარალებულთა ოჯახიდან ავიყვანო ერთი ბავშვი და გავზარდო“ — გვწერს კ. გულკეთილაძე.

„მას შემდეგ, რაც გავიგე სოფელ კაჟონაში მომხდარი გარდაქმნის საშინელების შესახებ, გემრიელად ლუკმა არ ჩამსვლია პირში. რას ჭამენ, რას სვამენ, როდემდე აპირებენ ხელფასზე ცხოვრებას გარდაქმნილი ადამიანები? ეს ხომ საშინელებაა! მზად ვარ ფიზიკური შრომით გაჭირვება შევუმსუბუქო უბედურებაში ჩავარდნილთ“ — გვატყობინებს გულთან მიმტანიშვილი.

„ძვირფასო რედაქციავ! ამ წერილს გწერთ ადამიანი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ საკუთარ თავზე განიცადა გარდაქმნის საშინელება. თუ არა კეთილი ადამიანების დახმარება და თანადგომა, ახლა საიქიოს ვიქნებოდი გასტუმრებული მთელი ოჯახით!.. უსახსრობით სახლი დაგვენგრა, გაგვიპარტახდა ეზო-კარი, დაგვეხოცა საქონელი!.. დღეს კი ცხოვრება ისევ ძველ დინებას დაუბრუნდა, თავს ბედნიერად ვგრძნობთ!.. შემიძლია ქალაქში ოროთახიანი ბინა დავუთმო დაზარალებულ ოჯახს“. — გვწერს ფ. სამბინაძე.

დაზარალებულთ თავიანთ სამსახურს სთავაზობენ კეთილი ადამიანები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან — ელექტრომონტიორი გ. ბიშჩენკო დონეცკიდან, კალატოზი ჰ. ჰუსეინოვი დერბენდიდან, ხარატი ა. ჩაქუჩიანი სომხეთიდან და მრავალი სხვა.

სახელმწიფო ბანკში გაიხსნა ანგარიში № 173589621 დაზარალებულთა დასახმარებლად, სადაც თითო თვის ხელფასი შეიტანეს ს. ფულავამ, ა. ანტიპოდაძემ, ნ. წამღლეტიშვილმა, მ. ქრთამაძემ და სხვებმა. ასევე ერთი თვის პენსია შეიტანეს აღნიშნულ ანგარიშზე პენსიონერებმა დ. პასივაძემ და შ. აქტიურმა.

მოდის და მოდის ამანათები დაზარალებულთა მისამართით სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან; მათ ადგილზე აღრიცხვა და განაწილება სჭირდება, რასაც ორგანიზებულად ართმევს თავს გარდაქმნის გამო მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ შექმნილი რაიონული შტაბი.

„ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“ — უთქვამს ბრძენ კაცს. მართლაც, ადამიანთა მიერ გამოჩენილმა დიდმა სითბომ და თანაგრძნობამ სიცოცხლე და მხნეობა დაუბრუნა უბედურებაში ჩავარდნილთ.

ყველაფერი კეთდება ზარალის აღმოსაფხვრელად.

ავტორის თხოვნით ამ იუმორესკის ჰონორარს რედაქცია დაზარალებულთა დახმარების ფონდში რიცხავს.

ნოდარ ბართაია

ᲬᲐᲛᲘᲠᲑᲘᲡ ᲨᲣᲥᲚᲘᲗ

ᲠᲝᲛᲐᲜ ᲛᲘᲖᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲝᲕᲔᲚᲐ

ᲛᲐᲓᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲮᲐᲚᲑᲘ ᲛᲝᲪᲣᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲚᲘᲡᲛᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲪᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲛᲘᲜᲓᲝᲕᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲛᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲔᲜᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲜᲘᲡᲝ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲘᲪᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲬᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲠᲐ ᲜᲘᲜᲐᲫᲔ ᲜᲘᲜᲐᲫᲔ ᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ — ᲐᲮᲚᲐ ᲗᲘᲗᲝᲛᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲒᲐᲜᲘᲡᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲘᲠᲑᲔᲑᲘᲗ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. მე-11 ნომერში)

ნოე II: ამის პასუხად მე წამოვაყენე ჩვენი პარტიის მიერ შემუშავებული წინადადებების მთელი ბლოკი: ა) ქარხანა მთლიანად დაფინანსებული უნდა იყოს მათი პარტიის მიერ და ყოველ წელს ქარხნის წარმოებაში დაბანდებული სახსრები უნდა გაორმაგებულიყო; ბ) ქარხანაში უნდა ემუშავათ მათი პარტიის წევრ მუშებსა და ინჟინრებს და თან მუშას უნდა მიეღო მინიმალურ შრომაში მაქსიმალური ხელფასი, რადგან ჩვენ თავს ვთვლით მთელი მსოფლიოს ხალხების ინტერესების დამცველად, მიუხედავად ადამიანის ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პარტიულობისა; გ) ქარხნის მიერ გამომუშავებული მთელი პროდუქცია უკლებლივ და სრულიად უსასყიდლოდ გადმოსცემოდა ჩვენს პარტიას; დ) ნაციონალურ-რევოლუციურ პარტიას უნდა ერთხელ და სამუდამოდ გაეგო, რომ მას არავინ ჰკითხავს, რაში გამოვიყენებთ ჩვენ ამ ყუმბარებს — სამშობლოს წინააღმდეგ თუ სამშობლოს სასარგებლოდ; ე) ნაციონალ-რევოლუციონერები მადლობელი უნდა ყოფილიყვნენ იმისა, რომ ჩვენ, ხალხის პარტიამ, საერთოდ ვიკადრეთ ამ წვრილბურჟუაზიული პარტიისათვის თავის გაყადრება. საკითხის სწორი, ლოგიკური დაყენებაა? ლოგიკურია! საკითხის სერიოზული დაყენებაა? სერიოზული! შეესაბამება ორივე მხარის ინტერესებს? შეესაბამება ორივე მხარის ინტერესებს!

ნოე I: მერედა, მათ ხელიდან გაუშვეს კეთილი საქმის ჩადენის ისტორიული შანსი?

ნოე II: და აი, სწორედ აქ დაიწყო სამშობლო პოლიტიკისადმი ორი მიდგომის ნამდვილი შეტაკება, მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორიცაა მცირერიცხოვანთა, უპერსპექტივო ერების ენებზე სწავლების შენყვეტა და ამ ენების აკრძალვა, როგორც მსოფლიო ხალხების გაერთიანების უმთავრესი ხელისშემშლელი მიზეზისა!.. მაშ ასე, მე გიამბეთ, რაც მოხდა მოლაპარაკებაზე. ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს, რათა არ მოხვდეს ჩვენი იდეური მონინააღმდეგეების პროპაგანდის გავლენაში!..

ნოე I: მადლობა არარსებულ ღმერთს, რომ ცოცხალი მაინც დაგვიბრუნდით!

ნოე II: მადლობა თქვენ, დიდო ბელადო, რომ თქვენს მიერ შემუშავებულ კონსპირაციის წესებს გამაცანით! საიდუმლო პოლიციის აგენტებს ჯერ იმით ავუხვიე თვალი, რომ ძველი დედაქალაქის სადგურზე ავედი „უცხოეთ-სამშობლოს“ მატარებელში, შემდეგ კი ახალი დედაქალაქის სადგურზე ვისარგებლე არეულობით და ერთი უცხოელი ქალბატონის კალთას ამოფარებულმა მოვაღწიე აქამდე.

ნოე I: იცით, კაცო, რას გეტყვით, ჩვენ არა?! ჩვენ ჩვენი სიტყვა ვთქვით კონსპირაციის მსოფლიო ისტორიაში და მე მოვითხოვ ეს ოქმში ჩაიწეროს!

ნოე VI: უკვე ჩავწერეთ.

ნოე I: კიდევ ჩაწერეთ! ჩვენი მომგნები, არა?!. ჩვენს მეტი არავინ იქნება!..

ამ დროს ერთდროულად შემოინგრევა კარი, ფანჯარა, გაიწევა წიგნის კარადა და უნიტაზიდან, კარიდან, ფანჯრიდან შემოცვივდებიან იარაღმომარჯვებული ჯარისკაცები და პოლიციელები. ნოეები ზე წამოიჭრებიან და ხელებს ასწევენ. პოლიციის ოფიცერი უნიტაზს მიუახლოვდება.

პოლიციის ოფიცერი: ამობრძანდით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ყველანი აქ არიან!

უნიტაზიდან ამოძვრება ბრწყინვალე მუნდირში გამოწყობილი გენერალ-გუბერნატორი.

გენერალ-გუბერნატორი: ბატონებო, უნდა მომიტევოთ, რომ ასე დაუპატიჟებლად და დაუკითხავად შემოგეჭერით, მაგრამ გარემოებამ მაიძულა. ამ დილას მეტროპოლიიდან მივიღე საიდუმლო დეპეშა: (იღებს მუნდირის შიდა ჯიბიდან და აკანკალებული ხმით კითხულობს): „მთავრობაძე გარდაიცვალა“ (თავს აწევს და დარბაზს მოავლებს თვალს. ნოეები დაბნეულად გამოიყურებიან). გილოცავთ, ბატონებო! აღსრულდა თქვენი მრავალწლიანი ბრძოლის მიზანი! მეც მიხარია, რომ უფლება მეძლევა გავთავისუფლდე ამდენი ხნის მძიმე ჯვრისაგან, რომელ ირველეს ყოვლისა თქვენი მშვენიერი სამშობლოსათვის, რომლის მიმართაც მე, როგორც პიროვნებას, დიდი სიმპათიები მაქვს, საფლავის თხრაში გამოიხატებოდა, მოვიხსნა ჩემი უფლებამოსილებანი, რწმუნებანი და სამშობლოს ბედი თქვენ, მის ყველაზე ღირსეულ შვილებს გადმოგაბაროთ! (გაოცებულია, რომ ნოეები ხმას არ იღებენ). თქვენ ალბათ ვერ გამიგეთ, ბატონებო! დიდი ხნის ფიქრისა და თათბირის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ ანარქიის თავიდან აცილების მიზნით დეკრეტით კი არ გამოგვეცხადებინა მეტროპოლიანი მთავრობის დამხობა, არამედ პირდაპირ თქვენთვის გადმოგვეცა ძალაუფლება! გილოცავთ, ბატონებო! თქვენ დღესვე შეგიძლიათ გამოაცხადოთ სამშობლოს დამოუკიდებლობა!

ნოე I: ეს პროვოკაციაა!

ნოე VI: არა, ბატონებო, ეს დაცინვაა, ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთ!

გენერალ-გუბერნატორი (შეშინებული): როგორ?! თქვენ არ გიხარიათ დამოუკიდებლობა, თავისუფლება?!

ნოე V: ეს თავისუფლება კი არა, მცდელობაა მსოფლიოს ხალხთა ბედისათვის ჩვენი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისა!..

გენერალ-გუბერნატორი: რას ბრძანებთ, ბატონებო, თავისუფლების მოპოვება ხომ ყველა ერის სანუკვარი ოცნებაა, იდეაფიქსი!

ნოე IV: ჩვენი პარტია არასოდეს ისახავდა მიზნად სამშობლოს თავისუფლებას. ჩვენი პროგრამა დედამიწის ხალხების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებაა და არა მსოფლიოს პოლიტიკური რუკის კიდევ უფრო აჭრელება.

ნოე V (ისტერიკულად): თქვენ გინდათ, რომ ჩვენ ჩვენს ეროვნულ ნაჭუჭში ჩავიკეტოთ (აუვარდება ტირილი), არაფერი გამოგივათ! ვერ გვაიძულებთ! უფლება არ გაქვთ!

გენერალ გუბერნატორი: თქვენ უნდა გამოაცხადოთ დამოუკიდებლობა, ამას ისტორიული აუცილებლობა ძოითხოვს!.. როგორ შეიძლება თავისუფლებაზე უარის თქმა?! ბოლოს და ბოლოს მე თქვენ გიბრძანებთ!

ნოე IV (დივანზე შეხტება): ნუ დავნებდებით უხეშ ძალას, ჩვენს ზურგს უკან ჩრდილოეთის ორმოცგრადუსიან ყინვებში და აღმოსავლეთის ორმოცდახუთგრადუსიან სიცხეებში გატარებული გადასახლებათა მძიმე წლებია. ვერ შეგვაშინებთ! ვიმღეროთ ჩვენი პარტიული ჰიმნი!..

გენერალ-გუბერნატორი: ბატონებო, თავისუფლება საჭიროა, თავისუფლება აუცილებელია, თავისუფლება გარდაუვალია! (ტირის მუხლებზე დამდგარი).

პოლიციის ოფიცერი (ყვირის): მაშ, არ აცხადებთ დამოუკიდებლობას?! კედელთან! ყველანი კედელთან! დახვრიტეთ! მე ამათი!..

ჯარისკაცები ნოეებს წიგნის კარადასთან დააყენებენ სახით მაყურებლისაკენ.

პოლიციის ოფიცერი: სამამდე ვითვლი — აცხადებთ თუ არა დამოუკიდებლობას?! ერთი!.. აცხადებთ თუ არა დამოუკიდებლობას?! ორი!.. აცხადებთ თუ არა დამოუკიდებლობას?! სამი!

ნოე: ვაცხადებთ!

პოლიციის ოფიცერი: ძალიანაც კარგი, ბატონო გენერალ-გუბერნატორო, აცხადებენ!

გენერალ-გუბერნატორი (ადგება, ცრემლებს იწმენდს): რას აცხადებენ?

ნოე I: ვაცხადებთ პროტესტს!

პოლიციის ოფიცერი: მაშ პროტესტს, არა? (ჯარისკაცებს) მოემზადეთ! (ჯარისკაცები წიგნის თაროებთან მდგარ ნოეებს თოფებს დაუმიზნებენ).

ნოე I: ჩვენ ვაცხადებთ დამოუკიდებლობას!

ნოე V: ბატონებო, რას სჩადიხართ?! ჩვენ ვღუპავთ მთელი მსოფლიოს ხალხების საქმეს, ეს ღალატია! (ნოე II პირზე ააფარებს ხელს).

ნოე I: და ამავე დროს ჩვენ ვაცხადებთ პროტესტს, რადგან გვაიძულებენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას! მე მოვითხოვ, პროტესტი ოქმში შევიტანოთ!

გენერალ-გუბერნატორი: ბატონებო, მე ვალდებული ვარ, ამის შესახებ ვაცნობო ევროპის საზოგადოებას!

ნოე V: ვაი სირცხვილო და თავის მოჭრავ! (პირზე ისევ ხელს აფარებენ).

გენერალ-გუბერნატორი: ისეთი ძველი ცივილიზაციის ქვეყნისადმი, როგორიც სამშობლოა, ევროპაში არასოდეს შენელებულა ინტერესი. დარწმუნებული ვარ, თქვენს დამოუკიდებლობას ისინი დიდი სიხარულით შეხვდებიან. მე მოვალე ვარ ვაცნობო მათ თქვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დღე — ალბათ უცხოელი დიპლომატები და სახელმწიფო მოღვაწეები მოინდომებენ ამ დღესასწაულზე ჩამოსვლას. მაშ, როდის ფიქრობთ დამოუკიდებლობის გამოცხადებას?

ნოე I: ამის მომზადებას გარკვეული დრო სჭირდება!..

პოლიციის ოფიცერი: თავიდან დაიწყეთ? იცოდეთ, ამ თქვენი ბელადის ტომებზე მიგახვრეტთ ყველას და მერე ნახავთ!..

გენერალ-გუბერნატორი: სამშობლოს თავისუფლება უკვე ფაქტია, ამას არაფერი ეშველება. თუ თქვენ წინააღმდეგი ხართ მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ამას სიამოვნებით გააკეთებს ნაციონალ-რევოლუციონერთა პარტია. მართალია, თქვენი და მათი ავტორიტეტი და გავლენა საზოგადოებაზე ერთნაირი არ არის, მაგრამ მათი ავტორიტეტი ავტომატურად გაიზრდება ამ პატრიოტული აქციის შედეგად.

ნოე II: ჩვენ ერთ თვეს ვთხოულობთ!..

პოლიციის ოფიცერი: ერთი კვირა მაქსიმუმია!

გენერალ-გუბერნატორი: იყოს ერთი თვე!

ნოე I: დღეს რა რიცხვია?

ნოე IV: 30 იანვარი.

ნოე I: ერთი თვის შემდეგ 30 თებერვალია. აი ჩვეხი დამოუკიდებლობის დღეც — შეიტანეთ ოქმში!

ნოე III: დღესვე ეცნობოს ადგილობრივ და ევროპულ პრესას: 30 თებერვალი ცხადდება სამშობლოს დამოუკიდებლობის დღედ!

პოლიციის ოფიცერი: ასე არ ჯობია, ბატონებო? ტყუილად რატომ მახოცვინებდით თავს... (ისმის სკამის ნაქცევის ხმა. ყველა ფანჯრისკენ მიიხედავს, ნოე V-ეს ამასობაში ყულფში გაუყრია თავი და ფარდის მაგივრად ქანაობს ფანჯარაზე. ოფიცერი ნაგანის ტყვიით გაწყვეტს თოკს. ნოეს ყულფს გადააძრობენ და დივანზე წამოანვენენ). არა, ეს ხალხი სამშობლოს ვერ უპატრონებს!..

ხმაურზე შემოვარდება თეთრწინსაფრიანი ახალგაზრდა, მოახლე გოგო.

მოახლე გოგო (დაბნეული ამდენი ხალხის დანახვით): რა ხდება?

ნოე V (სასოწარკვეთილი ხმით): ჩვენთან თავისუფლება მოდის!

მოახლე გოგო (ვერ გაიგო, ვინ მოდის): მომიკვდეს თავი!.. მერე ჩვენ რომ მზად არა ვართ? (უხერხულობისგან წინსაფარზე ჩამოისვამს ხელს. შუქი ქრება).

პირველი მოქმედების ეპილოგი

სცენა წარმოადგენს ქალაქის ცენტრალურ მოედანს, რომლის თავზეც კიდია დიდი საჰაერო ბურთი კალათით, კალათზე მიკროფონებია დამაგრებული და ტრიბუნას ჰგავს. ტრიბუნაზე კალათში, დგას ნოე პირველი. ქვემოთ ხალხია, რომელიც ყვირის პროტესტის ნიშნად, ისინი ხელჯოხებსა და ქოლგებს უღერებენ ნოე პირველს, ესვრიან ქუდებს, ფეხსაცმელებს და ა. შ.. ნოე პირველი, რომელსაც სიტყვის თქმას არ აცლიან, ხელით ახიშნებს კულისებისკენ, შემოიტანეთო. ჯარისკაცები შემოაგორებენ ბორბლებიან პლატფორმას, რომელზეც დგას უზარმაზარი ქვაბი და მზარეული დიდი კოვზით. მზარეული საჭმლით ავსებს ჯაბებს და ჯარისკაცები ხალხს ურიგებენ. ვინც კი იღებს ჯაბს, მაშინვე ჩუმდება და იწყებს ჭამას. ასე ნელ-ნელა აკლდებათ მოყვირლებს ხალხი. ბოლოს რჩება ერთი კაცი, რომელიც ყვირის, ქუდს და ფეხსაცმელს ესვრის ნოეს, ხელჯოხსა თუ ქოლგას უქნევს. თან ცალი თვალით ქვაბისკენ იყურება, მაგრამ მას საჭმელს აღარ აძლევენ და აპატიმრებენ. ხალხი ამას ან ვერ ამჩნევს, რადგან ყველა თავის ჯაბში იყურება, ან ხმას ვერ იღებს, რადგან პირი ლუკმით აქვს სავსე. ნოე პირველი საჰაერო ბურთის კალათიდან ისვრის გასაბერ ბუშტებზე დაკიდებულ ლოზუნგებს: „თუკი ვჭამ პურს, მუნჯი ვარ და ყრუ“, „ჭამის დროს ლაპარაკი უზრდელობაა“, „ვინც არ დუმს, ის არ ჭამს“.

მეორე მოქმედება

სურათი მესამე

სცენა წარმოადგენს კაბინეტს. შემოდის გიორგი, მას ეგებება ნოე II.

ნოე II: ბატონი გიორგი ბრძანდებით? გამარჯობათ. მე ნოე მეორე ვარ, შინაგან საქმეთა მინისტრი.

გიორგი: უკაცრავად, რატომ ნოე მეორე?

ნოე II: იმიტომ რომ არსებობს ნოე პირველი, ნოე მესამე, ნოე მეოთხე, ნოე მეხუთე, ნოე მეექვსე, ნოე მეშვიდე!

გიორგი: კი მაგრამ, თუ საიდუმლო არ არის, რატომ ხართ სამეფო დინასტიასავით დანომრილები, ეს მონარქიზმია?

ნოე II: პირიქით, ეს თანასწორობის უმაღლესი ფორმაა, როდესაც ერთი კაცის დემოკრატიულ იდეას, ჩვენ, მთავრობის წევრები უსიტყვოდ და უკლებლივ ვიზიარებთ, წარმოიშობა ერთი აზრი, ერთი მრწამსი და ამიტომაც ყველანი ნოეები ვართ, მხოლოდ რიცხვითი სახელები გვაქვს სხვადასხვა.

გიორგი: მერე ეს ვინმეს სჭირდება?

ნოე II: სამშობლოსა და ხალხს!

გიორგი: არა ჯობია, ზოგი — შოთა, ზოგი — საბა, დავითი, ილია, ვაჟა, ნიკოლოზი იყოთ?!

ნოე II: არა, ბატონო, ხალხი დაიბნევა, რწმენა წაუხდება ჩვენს ხელისუფლებაზე; იფიქრებენ, სხვადასხვა სახელებს განსხვავებული აზროვნება და იდეა ექნებათო!

გიორგი: კი მაგრამ, თქვენი იდეა რაშია?

ნოე II: ჩვენი იდეა იდეურობაშია!

გიორგი: იდეურობასაც აქვს იდეა?

ნოე II: დიახ, თუ ვინმე სხვა იდეებს იზიარებს, ჩვენ მას ვებრძვით, როგორც უიდეოს.

გიორგი: ???

ნოე II: ვეტყობათ, ჩვენს იდეას იზიარებთ!

გიორგი: რომელ იდეას?

ნოე II: როგორ? აქამდე ვერ მიხვდით?

გიორგი: მე სამშობლოს სიყვარულმა ჩამომიყვანა აქ.

ნოე II: ეგ გასაგებია, მომავალში რას აპირებთ?

გიორგი: ვემსახურო გათავისუფლებულ სამშობლოს!

ნოე II: რა შეგიძლიათ?

გიორგი: მე ვარ ფილოსოფიისა და მედიცინის დოქტორი, სამხედრო ხელოვნებისა და ნატიფ ხელოვნებათა მაგისტრი, დამთავრებული მაქვს იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტები... ვფლობ 50-მდე ენას...

ნოე II: თქვენი კომპლექსური განათლების შემოწმება ძალზე იოლია!

გიორგი: როგორ?

ნოე II: მე წაგიყვანთ ერთ გაჭიანურებულ პროცესზე, სადაც ამ წუთიდან ინიშნებით ნოე V-ს ადვოკატად! შეგიძლიათ შეითავსოთ ბარაბა ეძგვერაძის ადვოკატობაც.

სურათი მეოთხე

სასამართლო პროცესი, მოსამართლე და პროკურორი — თვითონ ნოე V. დარბაზი სავსეა ხალხით. საბრალდებო სკამზე სხედან: წარწერა „ნოე V“ და ბარაბა ეძგვერაძე. სასამართლოს თავმჯდომარეობს ნოე V.

ნოე V: ქალბატონებო და ბატონებო! მეგობრებო, დღეს უკვე მეასედ ვიკრიბებით გადადებული სასამართლო პროცესის გასაგრძელებლად. იგი თავისი რიგით საიუბილეოა, მაგრამ რადგანაც ამ საიუბილეო თარიღს იდეურობისათვის არავითარი სარგებელი არ მოუტანია, თარიღი სადღესასწაულოდ არ ჩაითვლება, საიუბილეო კომიტეტის მიერ შემოტანილი წინადადება ბათილდება! გადავიდეთ საქმეზე, ვინყეთ სასამართლოს... (ანაზდად იხსნება კარი, პროცესზე შემოდიან ნოე II და გიორგი).

ნოე II: უკაცრავად, ერთი წუთით, შეჩერდით!

ბარაბა ეძგვერაძე (სიმღერით): ნოეები მოვიდნენ, ატყდა დავიდარაბა, რომელ პარტიას ეკუთვნი ეძგვერაძე ბარაბა?!

ნოე II: საზოგადოების თავშეყრის ადგილზე ამ სიმღერის შესრულება ერთხელ უკვე აგიკრძალეთ! თუ ასე გაგრძელდა, მოგცემთ საშუალებას და ცალკე, მარტოდმარტომ რამდენიც გინდათ, იმღერეთ... საკანში!..

ბარაბა: მე ჩემთვის ვმღერი... თუ არ მოგწონთ, ნუ მომისმენთ!

ნოე II: ბატონებო, არის აზრი, რომ სასამართლო პროცესის ადვოკატად დაინიშნოს ბატონი გიორგი.

პროკურორი (იგივე ნოე V): რომლის ადვოკატად?

ნოე II: ბატონ ნოე მეხუთის და შეთავსებით ბარაბა ეძგვერაძისა.

პროკურორი (იგივე ნოე V): ასეთი რამ იურისპრუდენციას არ ახსოვს, თამამი ექსპერიმენტია.

ნოე II: დემოკრატიული პრინციპია, ყველასთვის ერთნაირად უნდა ვიზრუნოთ!

მოსამართლე (იგივე ნოე V): ბატონო ბარაბა, უკვე მეასედ გეკითხებით, ეს ბავშვი (ხელში აიყვანს ატირებულ ბავშვს) თქვენია?

ბარაბა: არა!

პროკურორი: (იგივე ნოე V): რით დაასაბუთებთ?

ბარაბა: ამისი დედა... (ბავშვს ხელში აიყვანს) აღუ! ისე კი ჩემს ბავშვებს ძალიან ჰგავს, თუმცა უმეტესობა ბავშვებისა ერთმანეთს საერთოდ ჰგავს!

პროკურორი (იგივე ნოე V): თქვენ პასუხი არ დაგისრულებიათ!

ბარაბა: სად გავჩერდით?

პროკურორი (იგივე ნოე V): დედასთან!

ბარაბა: მე ამ ბავშვის დედასთან დიდხანს არ გავჩერებულვარ. ეს ბავშვი რომ ჩემი არ არის, დასტურდება იქიდან, რომ ამ ბავშვის დედა ჩემი ცოლი არ არის, იგი მეუღლეა ნოე V-სი. ეს ბავშვი ნოე მეხუთეს ეკუთვნის!

ნოე V (მოსამართლის სკამიდან ადგება, მოიხდის პარიკს, მივა ბრალდებულის სკამთან): ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მე ამ ქალბატონს დიდი ხანია გავეყარე იდეური შეუთანხმებლობის გამო.

ქალი: გამეყარე დოკუმენტებით. მაგრამ სარეცელს ჩემსას იყოფდი! (სასამართლო დარბაზიდან შეძახილები: „ბავშვი ნოე V-ეს ჰგავს!“, „არა ჰგავს!“).

ქალი: ბავშვი ნოე მეხუთისგან მეყოლა!

ნოე V: სიცრუეა! მე ალიბი მაქვს, მოწმეები მყავს, რომ მე ბავშვის შექმნის პერიოდში, აქედან შორს მეტროპოლიის მიხისტრი ვიყავი (თავის თავს, როგორც პროკურორს წარუდგენს ცნობას).

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

ბაჩუკი ბახტაძე

საფიქრალი ლირიკული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულიანები და უფულოები

ბლანდები მეფობს კანონის წიგნში,
დამარხულია სიმართლე წმინდა,
უფულოები მიდიან ფიქრში,
ფულიანები — საითაც გინდა!

რაღაც უმსგავსო მარად ხარობდა,
მთავარი არის სწორად გამიგო:
ფულით ღარიბი? — მერე რა მოხდა?!
ჭკუით ღარიბი არ უნდა იყო!

სამარადისო, წმინდა სულისთვის
სამშობლოს გრძნობა მუდამ დიდია,
მაგრამ ზოგ-ზოგნი ფულის გულისთვის
თვით სამშობლოსაც გაგიყიდიან!..

ბლანდები მეფობს კანონის წიგნში,
დამარხულია სიმართლე წმინდა,
უფულოები მიდიან ფიქრში,
ფულიანები — საითაც გინდა!

* * *

ნისლისებური ფიქრი დამივლის,
რაც თავი მახსოვს, ასეა მუდამ:
აქ, რუსთაველზე ვინც კი გაივლის,
ყველას თბილისში ცხოვრება უნდა!..

* * *

ყველას უნდა ვეკვეთო,
მზეს ვინც ჭვარტლი შეჰყარა!..
მე მეგონა დღემდე, რომ
სუფთა იყო ქვეყანა!

კოდალას

ხეებს თავი გაანებე,
ნულარ ანაგვიანებ,
თორემ რჩება სიბინძურე
(ბევრს რომ კარგი ჰგონია)
და თავიდან, ჩვენი თხოვნით,
ასეთ ადამიანებს
გამოუღე ის აზრები,
რაც კი არასწორია!

ტრაბახას ქაქანიდან

ძველებური ვნახე ქილა
წარწერების მკრთალი პწკარით,
კუტუბიძე რომ ყოფილა
კუტუნიოს წინაპარი.

დაქსაქსული, როგორც წყარო,
მათი გვარიც გაყოფილა
და თუ იცით, ჩელენტანო
ჩელებაძე რომ ყოფილა?

ფურცლები სულ დაფლეთილან,
წარწერებზე არ იდარდოთ!
ბარდაველიძე ყოფილა
ის ცნობილი ბრიჯიტ-ბარდო.

დაიხსომოს, ვინც ქართველთა
ჯიშის, გვარის მძებნელია:
ისლანდია, ზელანდია
აბაშელი მეგრელია!

— გვიკადრეთ ხომ, ბატონო?! ჩამობრძანდით ხომ თქვენს მშობლიურ სოფელში დასასვენებლად?!
— აბა, მე რისი პატრიოტი ვარ!..

№ 375
30.VI 1989

პოეტი-იუმორისტი

(იოსებ გრიშაშვილის დაბადების მე-100 წლისთავის გამო)

საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი ჩინებული იუმორისტიც გახლდათ. ხუმრობისადმი მისი მიდრეკილება განსაკუთრებით ახალგაზრდობის ხანაში — ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ვლინდებოდა. ამას თვალნათლივ ცხადყოფს 1907—1908 წლებში ცნობილი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის ვალერიან გუნიას რედაქტორობით გამომავალი ჟურნალი „ნიშადური“. მის ფურცლებზე არცთუ იშვიათად შეხვდებით გასართობ მინიატიურულ სტრიქონებს, რომელთაც ხელს აწერს გრ-გრ. ეს ფსევდონიმი სოსო გრიშაშვილისაა.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს

* * *

— მე მიკვირს, თუ რად დაიარებით ვეჩერ-ბალებში, როდესაც ცეკვა არ იცით?!
— მართალია, ცეკვა არ ვიცი, მაგრამ სამაგიეროდ ჭამა ვიცი!

* * *

— ბატონო ექიმო, მე ვგრძნობ, რომ რაღაც მაქვს თავში!..
— მე თქვენ გარწმუნებთ, რომ სრულებით არაფერი არა გაქვთ რა თავში!

* * *

— მგონი, თქვენი „არშინი“ მოკლეა!
— მართალია, მაგრამ სამაგიეროდ განიერია!

* * *

— ლიზა, რამდენი წლისა ხარ?
— ოცისა.
— თქვენი უმცროსი და თამრო?
— ოცდასამისა!..

* * *

— ღმერთმა კაცს რისთვის მისცა ყურები?
— იმისთვის, რომ ქუდი თვალებზე არ ჩამოეფხატოს!

* * *

— პეპანჯან, რადა ხარ მაგრე დაღვრემილი და სახეც მარცხნივ გალურჯებული გაქვს?
— ცოლმა სიყვარულისაგან მიმზილა, რომ სხვას არ მოვეწონო!..

* * *

— ქალბატონო, ინებეთ ჩემი ხელი!
— გმადლობთ, მე თვითონ ორი მაქვს!

* * *

— ბატონო კბილის ექიმო, რატომ თქვენს კაბინეტში სკამები არ მოიპოვება?
— ჩემს ავადმყოფებს ჯდომა არ უყვართ, სულ გაცხარებულნი დარბიან და კრუსუნებენ!..

* * *

— კარაპეტჯან, სად ხარ — აღარ ჩანხარ?..
— სახლში ვარ, მინასჯან... — ვზივარ ჩემს თაქუასთან. გარეთ არ გამოვდივარ...
— ახარ, რათა? რა მიზეზია, რომ ჩაკეტილხარ?
— მოტაცებისა მეშინია!
— ფიე! რომელი მზეთუნახავი შენა ხარ, რომ მოგიტაცონ?!
— ეე, ტუტუც, ყასაბი დარჩუა, მზეთუნახავი იყო, რომ მოიტაცეს?!

* * *

მეეზოვეს უჭირავს ქურდი და უყვირის:
— დადექ, შე ავაზაკო, შენა! მე შენ გასწავლი, თუ როგორ უნდა იქურდო, შე... შე!..
— თუ ძმა ხარ, მასწავლე, თორემ მოსვენება არა მაქვს. ეს ოხრები ძალიან ჩქარ-ჩქარა მიჭერენ!

* * *

— თავს უშველე, აღაჯან, სახლს ცეცხლი ეკიდება!..
— არა უშავს რა, სახლი „სტრახში“ მაქვს შეტანილი!
— თქვენს თავს მაინც უშველეთ, თორემ ცეცხლი გაძლიერდება და თქვენც არ დაინვავთ!..
— ნურც მაგის ფიქრი გაქვს: ჩემი თავიც „სტრახშია“ შეტანილი!

* * *

— რისთვის დააპატიმრეს შენი ქმარი?
— სრულიად უმიზეზოდ. ვექსილზე სხვისი გვარი და სახელი მოაწერა!..

* * *

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვუწამლო ჩემს თავს!
— ვმუშაობ, როგორც ხარი, მადა მაქვს და ვჭამ, როგორც მგელი, ვსაქმიანობ და დავმრნი, როგორც ძაღლი და ძილი კი თვალს არ ეკარება!..
— მე ვერაფერს გიშველით!.. უკეთესი იქნება პირუტყვების ექიმს, ეეითალს მიმართოთ! ხარს, მგლებსა და ძაღლებს ისინი არჩენენ!..

ნაწყვეტი წერილიდან „ნახული და გაგონილი“

...ქართული ჟურნალ-გაზეთების ბაზარი დღითიდღე ივსება და ინაგვება, უკაცრაული სიტყვაა, იუმორისტული გამოცემებით. ზოგი ჭეეათხელი გამომცემელი, კონკურენციის ვირზე შემჯდარი, ნისიად არიგებს თავის გამოცემას და, რადგან ვერც ამ საშუალებამ გაჭრა, ახლა გადაუწყვეტიათ მუქთად აძლიონ მკითხველთ თავიანთი ნაჯღაბნი, ნაცოხნი. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ოინბაზობამაც გაჭრას, რადგან ახლანდელი მკითხველი ადვილად არჩევს ყვავს ბულბულისაგან და ნაგავს, დიახაც, პირს აარიდებს!

პუბლიკაცია დავით ბუზუკაშვილისა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 12 (1790) ივნისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე ხამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 24. 05. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 06. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 1217 უე 04681. ტირაჟი 130000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

89-375

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. აბაზაძისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა